წმინდა სინოდის წევრების მისალოცი ადრესი უწმინდეს პატრიარქ კირილეს აღსაყდრების მორიგ წლისთავთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 01.02.2025. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრებმა **მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს** აღსყდრების 16 წლისთავი მიულოცეს.

მის უწმინდესობას, უწმინდეს კირილეს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს

თქვენო უწმინდესობავ, უწმინდესო მეუფევ და მოწყალე მამაო!

ამ საზეიმო და სულიერად მნიშვნელოვან დღეს, როგორც პირადად თქვენთვის, ისე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი სისავსისათვის, ჩვენ შევიკრიბეთ ქრისტე მაცხოვრის ამ დიდებული ტაძრის თაღებქვეშ, რათა აღვასრულოთ ლიტურგია, აღვავლინოთ სამადლობელი ლოცვები ყოვლადგულუხვი ღმერთის მიმართ და გულითადად მოგილოცოთ თქვენ მოსკოვის პირველმღვდელთმთავართა ტახტზე აღსვლის მე-16 წლისთავი.

ვიხსენებთ რა, თუ როგორ მიჰყავდით უფალს ამ უმაღლესი და საპასუხისმგებლო მსახურებისკენ, ჩვენ მოციქულთან ერთად სიხარულით ვღაღადებთ: *„ჰოი სიღრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაი!“* (რომ. 11:33). დაბადებულმა ღვთისმოსავ სამღვდელო ოჯახში, რომელსაც ბავშვობიდანვე თვალწინ გედგათ მშობლების ქრისტიანული ცხოვრების კეთილი მაგალითი და პაპის აღმსარებლობითი ღვაწლი, სრულიად ყმაწვილმა გადაწყვიტეთ თქვენი ცხოვრება მიგეძღვნათ ქრისტესთვის და სკოლის დამთავრების შემდეგ ლენინგრადის სასულიერო სემინარიაში ჩააბარეთ. თქვენი სულიერი მამისა და მოძღვრის, მიტროპოლიტ ნიკოდიმის (როტოვი) მგრძნობიარე და ბრძნული ხელმძღვანელობით, თქვენ ძალით ძალამდე იზრდებოდით, გულსა და გონებას საღვთისმეტყველო მეცნიერებებით ასაზრდოებდით. სარექტორო მოღვაწეობა, მრავალი მორჩილება საეკლესიო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და ოცდაათ წელზე მეტი სამღვდელთმთავრო საქმიანობა სმოლენსკსა და კალინინგრადში – ყოველივე ამან საშუალება მოგცათ დაგეგროვებინათ კოლოსალური გამოცდილება, რაც ამჟამინდელ ძალიან რთულ ვითარებაში გეხმარებათ მტკიცედ და მარჯვედ მართოთ საეკლესიო ხომალდი აბობოქრებულ ცხოვრებისეულ ზღვაში წყნარი, ზეციური ნავსაყუდელისკენ.

თექვსმეტი წლის წინ ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ რა გამოწვევების, მძიმე განსაცდელების, გარე და შიდა საფრთხეების გადალახვა მოუწევდათ მართლმადიდებელ ქრისტიანებს უახლოეს ათწლეულებში და, მით უფრო, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, თუ რა გველის შემდგომში. მიჰყევით რა მეფსალმუნის სიტყვებს: ***„განვემზადე და არა შევძრწუნდი“*** (ფს. 118:60) და სრულად დაემორჩილეთ შემოქმედს იმის მაგალითისამებრ, ვინც ***„დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდიდმდე და სიკუდილითა მით ჯუარისაითა“*** (ფილიპ. 2:8), თქვენ აღიღეთ ეს მძიმე საპატრიარქო ჯვარი და ყოვლისმპყრობელის მოუკლებელი შემწეობით დღემდე ფეხდაუცდომელად ატარებთ მას.

ვუმზერთ რა თქვენი ბრძნული წინამძღვრობით განვლილ წლებს, ჩვენ, უფლისადმი ღრმა მადლიერებით, ერთხმად ვამოწმებთ *თავის წმინდა ეკლესიებზე მარადჟამ მზრუნველ საღმრთო მადლის განუწყვეტელ მოქმედებას* (აღსაყდრების ლოცვებიდან) და თქვენი კეთილი მაგალითით ვძლიერდებით ღვთის უაღრეს სადიდებლად შემდგომი ერთობლივი შრომისა და ლოცვისათვის.

თქვენი მოშურნე საწინამძღვრო მსახურება, გულმხურვალე ლოცვა, სახარების ცეცხლოვანი ქადაგება, ზრუნვა მომავალ თაობებზე, სასულიერო პირებისა და სამწყსოსადმი მამობრივი ყურადღება, ტკივილი მათ გამო, ვინც განვარდა ან ჯერაც არ მოქცეულა რწმენაზე და ამომწურავი პასუხის გასაცემად მზადყოფნა ნებისმიერი ადამიანის შეკითხვაზე – ყოველივე ეს თვალსაჩინო განსახიერებაა მოციქულის

სიტყვებისა: ***„ყოველთა ვექმენ ყოვლად, რაითა უეჭველად ვიეთნიმე ვაცხოვნნე“*** (1 კორ. 9:22). თქვენ გიწევთ დაიცვათ ეკლესიის გარე-კანონიკური საზღვრები და ამავე დროს შეინარჩუნოთ მისი შინაგანი ერთობა და რწმენის სიწმინდე.

ჭეშმარიტად, საეკლესიო საქმიანობის არცერთ სფეროს არ აკლია თქვენი საწინამძღვრო მზრუნველობა და ყურადღება; აქედან გამომდინარე, *არ გვეყოფა ჩვენ დრო და სიტყვები* (ებრ. 11:32) იმისათვის, რომ მთელი სისრულით აღვწეროთ თქვენი შრომების მრავალნაყოფიერება. *სიხარულით ვჰმადლობთ რა ღმერთსა და მამას* (კოლ. 1:12) იმ შესაძლებლობისთვის, რომ ვართ თქვენი თავმდაბალი თანამუშაკენი, ჩვენ, წმინდა სინოდისა და თქვენი მრავალრიცხოვანი ღვთისმოყვარე სამწყსოს სახელით, ლოცვით გისურვებთ თქვენ, ჩვენს ძვირფას და საყვარელ პატრიარქს, ძალთა ხიმტკიცეს, სულის სიმხნევეს, მშვიდობას და უფლის გულუხვ შემწეობას უმაღლეს მსახურებაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ.

მრავალი და კეთილი წლები თქვენ, თქვენო უწმინდესობავ!

ის პოლა ეტი, დესპოტა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები

მოსკოვი, 2025 წლის 1 თებერვალი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/92834/